უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 7 20 0000820622

11/09/2020

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ:245428158) მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 11 სექტემბრის N820343 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი,

მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ